*დანართი №2*

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა „ინფორმაციის ტექნოლოგიის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (ქ. საჩხერე)

## შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია"

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლევან მადათოვი

წევრები:

იაზონ დანელია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერები

(თბილისი, 2019)

*დანართი №2*

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი:406056173

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერები

(თბილისი, 2019)

*დანართი №2*

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის **2019 წლის 16 აგვისტოს №724 ბრძანებით,** ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული **„ინფორმაციის ტექნოლოგიის“** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდისა და პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, **2019 წლის 29 აგვისტოს** განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის (შემდგომში - ექსპერტთა ჯგუფი) ვიზიტი **შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში** მისამართზე: **საჩხერე, ივანე გომართელის №10**

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე შეისწავლა კოლეჯის მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეიმუშავა დღის წესრიგი **(დანართი.1)** რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ყველა აქტივობა.

დაწესებულებამ უზრუნველყო დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტივობების ორგანიზება, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი ყველა დოკუმენტის დროულად და შეუფერხებლად მოწოდება. განხორციელდა ვიზიტები პრაქტიკის ობიექტებზე სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 და სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის №3 საჯარო სკოლაში.

შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია“ ავტორიზებულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის №168 გადაწყვეტილებით და ახორციელებს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ 7 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის „ინფორმაციის ტექნოლოგიას“ მისამართზე: ქ. თბილისი, წერეთლის 208. აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრულია 50 სტუდენტით. ამ ეტაპზე კოლეჯს სურს „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ასევე განახორციელოს ახალ მისამართზე: ქ. საჩხერე, ივანე გომართელის 10-ში და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა ახალ მისამართზე განისაზღვროს 30 პროფესიული სდუდენტით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ხანგძლივობის, სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტების და პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობის გათვალისწინებით ერთ ცვლაში შესაძლებელია 15 პროფესიულ სტუდენტის მიღება, ხოლო ორ ცვლაში შესაძლებელია 30 პროფესიული სტუდენტის მიღება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერები

(თბილისი, 2019)

*დანართი №2*

## III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| 1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები | | მუხლი 6 | ☒ | ☐ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | მუხლი 6 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. | მუხლი 6 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | მუხლი 6 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები. | მუხლი 6 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. | მუხლი 6 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერები

(თბილისი, 2019)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. | მუხლი 6 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| 2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი | | მუხლი 7 | ☒ | ☐ |
| 2 1 | დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | მუხლი 7 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 2 1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ: | მუხლი 7 / პუნქტი ა.ა) | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, | მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ) | ☒ | ☐ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | მუხლი 7 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას, | მუხლი 7 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში; | მუხლი 7 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, | მუხლი 7 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს. | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, | მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა) | ☒ | ☐ |
| 2.6 2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა, | მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ) | ☒ | ☐ |
| 2 6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ) | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ) | ☒ | ☐ |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, | მუხლი 7 / პუნქტი ზ) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერები

(თბილისი, 2019)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.) ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | მუხლი 7 / პუნქტი თ) | ☒ | ☐ |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | მუხლი 7 / პუნქტი ი) | ☒ | ☐ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | მუხლი 8 | ☒ | ☐ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | მუხლი 8 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | მუხლი 8 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | მუხლი 8 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ გამოვლენილა.

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

სასურველია ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიულმა მასწავლებელმა სასწავლო რესურსად დაიმატოს CISCO-ს ქსელური აკადემიის სასწავლო პროგრამის რესურსი ITessentials v6.0, რათა პროფესიულ მასწავლებელს და პროფესიულ სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა გამოიყენოს IT essentials v6.0 სასწავლო რესურსი სწავლა-სწავლების პროცესში. რადგან IT essentials v6.0 სასწავლო რესურსი შეიცავს ბევრ სასარგებლო და მაღალი ხარისხის თანამედროვე სასწავლო ინსტრუმენტს, როგორიცაა: სიმულატორები, პრეზენტაციები, ილუსტრაციები, სასწავლო პროგრამის ონლაინ პლათფორმა, სადაც პროფესიულ სტუდენტს ექნება წვდომა ნებისმიერ დროს, რაც თავის მხრივ პროფესიულ სტუდენტს გაუადვილებს სასწავლო მასალის ათვისებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერები

(თბილისი, 2019)

*დანართი №2*

## VII. დაწესებულების მისია

მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღების შესაძლებლობების ხელშეწყობა, ამ მიზნით თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი თეორიული ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სხვადასხვა მიმართულებით სპეციალისტების მომზადება შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფილ კონკურენტულ სასწავლო გარემოში; ადგილობრივი და საერთაშორისო სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის შექმნა და განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ერთობლივი პროგრამების დაგეგმვას და განვითარებას; პერსონალის განვითარებისათვის მუდმივი ზრუნვა; სტუდენტთა კულტურული და სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა, რაც გაზრდის მათ მოტივაციას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერები

(თბილისი, 2019)

სტანდარტების შეფასება

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ განახლებული სახით დამტკიცებულია კოლეჯის უფლებამოსილი პირის - რექტორის 2019 წლის 31 ივლისის №2/113 ბრძანებით. ექსპერტების მიერ გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამაში განსაზღვრულია პროფესიული სპეციალიზაცია და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგის მიღწევების მეთოდები, პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამით გათვალისწინებული მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ქართული ენის კომპეტენციის შესახებ, პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები და ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების შესახებ. პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, ახლავს სასწავლო გეგმა, სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და შესაბამისი მოდულები. მოდულები „გაცნობითი პრაქტიკა“ და „პრაქტიკული პროექტი“ ხორციელდება ერთობლივად შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში და შემდეგ დაწესებულებებში:

- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ.საჩხერის №1 საჯარო სკოლა 7 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 საჯარო სკოლა -11 პროფესიული სტუდენტი;

- სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის №3 საჯარო სკოლა-5 პროფესიული სტუდენტი;
- სსი - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სარეკის საჯარო სკოლა - 7 პროფესიული სტუდენტი;

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა ვიზიტი სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 და სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის №3 საჯარო სკოლაში და მათ წარმომადგენლებთან გასაუბრება. პარტნიორი დაწესებულებები მზაობას გამოხატავენ მიიღონ მემორანდუმით გათვალისწინებული რაოდენობის პროფესიული სტუდენტები და უზრუნველყონ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება მათ დაწესებულებებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში არსებობს განახლებული 2019-20 წლის კატალოგი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია კოლეჯის მისიის, ხედვის და ღირებულებების შესახებ, ინფორმაცია პროფესიული პროგრამების შესახებ (მისანიჭებელი კვალიფიკაცია,პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, დასაქმების შესაძლებლობები) დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები. ინფორმაცია დაგეგმილი ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, პარტნიორები, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა. კატალოგი ასევე განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე bta.edu.ge



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერები

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კატალოგით;
- ვებგვერდით.

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს „ინფორმაციის ტექნოლოგია /Information Technology", სარეგისტრაციო ნომერი 06112-პ, პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება - კოდი 0612.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერები

(თბილისი, 2019)

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები, კერძოდ, აკადემიის რექტორის 2019 წლის 16 აგვისტოს №2/127 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის მეორე თავი ეთმობა აღნიშნულ საკითხებს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;

**შეფასება:**

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას. ზემოაღნიშნული უზრუნველყოფილია აკადემიის რექტორის 2019 წლის 16 აგვისტოს №2/127 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მეორე მუხლით. ამასთან, აკადემიას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი „კერძო კოლეჯების ასოციაციასთან“, რომელიც ითვალისწინებს მათ შორის, პროფესიული სტუდენტების მობილობის ხელშეწყობას,

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერები

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.6** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

აკადემიის რექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „დაწესებულების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები". დაწესებულებაში სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით გამოიყენება ხარისხის შემოწმების შემდეგი ფორმები:

- პროფესიული სტუდენტის კითხვარი;
- პროფესიული მასწავლებლის კითხვარი;
- ადმინისტრაციის კითხვარი;
- შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების კითხვარი;
- კურსდამთავრებულის გამოკითხვის ფორმა;
- საგაკვეთილო პროცესზე დასწრების აქტი;
- დამსაქმებელთა კითხვარი შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საჭიროებებს შესახებ.

დაწესებულება შეფასების სისტემის განხორციელებისას ხელმძღვანელობს პრინციპით „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე". აკადემიის მიერ წარმოდგენილ იქნა შევსებული და გაანალიზებული კითხვარები, რომელიც გამოიყენება პროგრამების გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემით;
- შევსებული კითხვარებით.

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერები

*დანართი №2*

## 2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების** აკადემიის საჩხერის ფართი მდებარეობს მისამართზე: **საჩხერე, გომართელის** ქ.10 საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების მესაკუთრეა ფიზიკური პირი, რომელსაც იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, კოლეჯისათვის გადაცემული აქვს 290 კვ.მ. საერთო ფართი. იჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია 2019 წლის 17 ივლისს და მოქმედებს 5 წლის ვადით. შენობა-ნაგებობა ორსართულიანია, პირველ სართულზე განთავსებულია 3 აუდიტორია, ბიბლიოთეკა და სველი წერტილი, ხოლო, მეორე სართულზე - ადმინისტრაციის ოფისი.

| № | მისამართი | | კვ.მ. |
|---|---|---|---|
| 1 | საჩხერე, გომართელის ქ.10 | საკადასტრო კოდი: [redacted] | 290 |

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან [redacted] – 23.07.2019
- იჯარის ხელშეკრულებით;
- შიდა აზომვითი ნახაზით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

აკადემიამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგია" პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო:
AB სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 15



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერები

(თბილისი, 2019)

AB სასწავლო გარემო აღჭურვილია 15 პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილი მაგიდებით, 15 სკამით, დაფით, მასწავლებლის მაგიდითა და სკამით. ასევე ინტერნეტის ქსელში ჩართული 16 კომპიუტერით, ქსელური პრინტერით და დემონსტრირების საშუალებით - პროექტორით.

ამდენად, კოლეჯი ერთ ცვლაში შეძლებს 15 პროფესიული სტუდენტის მიღებას (1 ჯგუფში). შესაბამისად, ორ ცვლაში სწავლების განხორციელების შემთხვევაში კოლეჯი შეძლებს 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას

პროფესიულ საგანმანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ განხორციელების მიზნისთვის სასწავლო ფართი აღჭურვილია სათანადო რესურსით, რომელიც შეესაბამება პროგრამის ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალს და იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. მატერიალური რესურსი დაწესებულებას გადაცემული აქვს შენობის მესაკუთრესთან გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- ჩუქების ხელშეკრულებით;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილი, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და ცენტრალური გათბობის სისტემა, გაზის მიზოდებას უზრუნველყოფს სს „საჩხერეგაზი“ ელექქტროენერგიის მიწოდებას სს ენერგო-პრო-ჯორჯია ხოლო წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერები

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შესაბამისი ხელშეკრულებებით;
- ანგარიშ-ფაქტურებით;
- საგადახდო დავალებებით (გადარიცხვის ქვითრებით);

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული და რექტორის 2018 წლის 8 ივნისის №2/48 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლებიც თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული. ბიბლიოთეკაში მიმდინარეობს ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნში რეგისტრაცია.

გადამოწმდა „ინფორმაციული ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულით განსაზღვრული სასწავლო რესურსები. ყველა მათგანი ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში.

დასტურდება:

- ბიბლიოთეკის დებულებით
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით
- ადგილზე დათვალიერებით
- ინვენტარიზაციის წიგნებით.

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერები

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

აკადემიის მართვაში გამოიყენება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, კერძოდ სატელეფონო და საქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურებას უზრუნველყოფს სს „სილქნეტი", ინტერნეტ-მომსახურებას შპს „სქაიტელი", კოლეჯი ასევე ჩართულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში https://evet.emis.ge/ , საქმისწარმოებაში გამოიყენება ელექტრონული მართვის სისტემა.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ინვენტარიზაციის აქტებით;
- შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით
- შესყიდვის/მოსახურების ხელშეკრულებებით.

**შეფასება:**

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, საქმისწარმოებაში გამოიყენება ელექტრონული მართვის სისტემა. აკადემიაში მოქმედებს საქმისწარმოების ერთიანი წესი.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საქმისწარმოების წესით;
- აღრიცხვის ჟურნალებით.

**შეფასება:**

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერები

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

რექტორის 2018 წლის 8 ივნისის №2/48 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ევაკუაციის წესი", „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი" და „წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები". საევაკუაციო გეგმები განთავსებულია შენობის ყველა სართულზე, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი განთავსებულია სათანადო ადგილებზე, ცეცხლმაქრები დამუხტულია და ვადიანია, კოლეჯში ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი, ექთნის ფუნქციას ასრულებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი. წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს დაცვის თანამშრომელი.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაციით;
- საევაკუაციო გეგმებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

**შეფასება:**

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, პირველ სართულზე შემოსვლა თავისუფლადაა შესაძლებელი. პირველ სართულზევე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი, სართულებს შორის გადაადგილება შესაძლებელია ასკეცი პანდუსით.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, bta.edu.ge განთავსებულია ინფორმაცია კოლეჯის შესახებ, კოლეჯის მისია, ისტორია, სტრუქტურა, პედაგოგები, კატალოგი, ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, სამართლებრივი აქტები, სიახლეები და სხვა.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ვებგვერდით;
- დომენისა და ჰოსტინგის ხელშეკრულებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერები

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

კოლეჯს შემუშავებული აქვს 2018-2025 წლების სტრატეგიული გეგმა, რომელიც გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან. აკადემიის განახლებული გრძელვადიანი და 2019 წლის სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია აკადემიის რექტორის მიერ 2019 წლის 19 ივლისის №2/100 და 23 აგვისტოს №2/135 ბრძანებებით. კოლეჯის მისიიდან გამომდინარე, იკვეთება შემდეგი სტრატეგიული მიზნები:

1. ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშემწყობი
ღონისძიებების გატარება;
2. პერსონალის ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება;
3. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
4. ფინანსური მდგრადობისა და გაზრდის უზრუნველყოფა;
5. ადგილობრივი და საერთაშორისო სასწავლო-სამეწარმეო სისტემის შექმნა;
6. პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

2019 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ამოცანებს, განსახორციელებელ აქტივობას თვეების მიხედვით, შესრულების ინდიკატორს და შესაბამის პასუხისმგებელ პირებს. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე. სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია ახალი ფართის დამატება და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა. ვებგვერდზე განთავსებულია 2017 და 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2025
- ერთწლიანი სამოქმედი გეგმა 2019

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერები

(თბილისი, 2019)

## 3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

საჩხერის ფართზე ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა პერსონალის პირადი საქმეები, ასევე შედგა გასაუბრება ადმინისტრაციასთან და დადგინდა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ შემუშავებულ მოთხოვნებს და დაკავებულ თანამდებობებს. საჩხერეში ადმინისტრაციული პერსონალი შედგება 5 თანამშრომლისგან, მათგან ერთერთი ასრულებს საქმისწარმოების სპეციალისტის, პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის HR - ის და ექთნის ფუნქციას. ადმინისტრაცია ასევე შედგება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის, რომელიც სამეურნეო სამსახურის მენეჯერის ფუნქციასაც ასრულებს ასევე პასუხისმგებელია სათავო ოფისთან (თბილისი) კოორდინაციაზე. ბიბლიოთეკარის, დაცვის თანამშრომლისა და დამლაგებლისგან.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საშტატო განრიგით;
- პირადი საქმეებით;

**შეფასება:**

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ქ. საჩხერეში, პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 7 პროფესიული მასწავლებელი. შესაბამისად თანაფარდობა იქნება 7 პროფესიული მასწავლებელი 30 სტუდენტზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერები

(თბილისი, 2019)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება აკადემიის შინაგანაწესის შესაბამისად. გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები. მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერები

*დანართი №2*

## VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინფორმაციის ტექნოლოგია | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612 | 60 | 75 | ქართული | საჩხერე, ივანე გომარეთელის ქ. №10 | 0 | 30 |

## IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

ქ. თბილისი 06.09.2019



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერები

(თბილისი, 2019)